საქართ. მემარც. სოც.-ფედ. სარევ. პარტია

წელიწადი მესამე

# ტრიბუნა

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთი „ტრიბუნა" ღირს
თვიურად 200,000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 10,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სასახლის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—34 — ფოსტის ყუთი, № 190.

განცხადების ფასი
1 გვ. 60,000 მან. ნონპარელი
1 „ 50,000
სამგლოვიარო - განცხადება
1 გვ. 300,000 მან.
4 „ 500,000 „

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 430 სამშაბათი, მარტის 27 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 10,000

## მივეხმაროთ უმუშევარ ახალგაზრდობას.

მარტის 24-დან აპრილის პირველამდე გაგრძელდება უმუშევარ ახალგაზრდების დახმარების დღეები. ნორჩი ძალებისათვის ამ კვირეულმა უნდა მოგვცეს საკმაო რესურსები, ფინანსიურ-მატერიალური და სხვ.

როგორც ვიცით, ჩვენს დედა-ქალაქსა და პროვინციებში დაახლოებით **სამი ათასი უმუშევარი** ახალგაზრდაა. ეს მეტად სამწუხარო ამბავია. მართალია, კაპიტალიზმის სამეფოებში ეგ რიცხვი სრულებით უმნიშვნელოა და არა საყურადღებო. იქ უმუშევრობაში არა მარტო ახალგაზრდა მუშებია, არამედ საერთოდ მუშების მრავალრიცხოვანი ლეგიონები.

ჩვენი ქვეყანა მშრომელთა ბატონობის ქვეყანაა. ცხადია, რომ შრომის რესპუბლიკაში შეუძლებელი უნდა იყოს მშრომელის სამუშაოს გარეშე დარჩენა. საბედნიეროდ უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი მუშათა კლასი არ არის უსაქმოდ დარჩენილი და ლუმპენ-პროლეტარიატის აღმოცენების პირობები არ არსებობს ჩვენი ცხოვრების სინამდვილეში მაგრამ 3 ათასი ახალგაზრდა მუშის უსაქმობასა და ხეტიალის მდგომარეობაში ყოფნა ჩვენთვის მეტად დამაფიქრებელი და სავალალო ფაქტია.

სახელმწიფო კაპიტალიზმის ნიადაგზე გადასვლამ დიდი გავლენა იქონია ფაბრიკა-ქარხნების მუშათა რიცხვის შემცირებაზე. სამეურნეო ანგარიშზე გადასვლა ჩვენს წინაშე აყენებს შრომის ძალების შემცირებას შრომის ნაყოფიერების გაძლიერების საშუალებით. მუშა ხელის შემცირებაში ყურადღება ექცევა იმას, რომ რაც შეიძლება მეტი კვალიფიციური მომუშავე იქნას საწარმოო დაწესებულებებში დაბანდებული. ეს ახდენს უსათუოდ უარყოფით გავლენას ახალგაზრდა მუშების რიგებზე. შრომის პრაქტიკით აღჭურვილი, გამოცდილი მუშა მძლავრი კონკურენტია გამოუცდელ ახალგაზრდა მუშისათვის. სახელმწიფოს ეკონომიური ინტერესები უპირატესობას „სტაჟიან" მშრომელთ ანიჭებს. ამის ლოღიკური შედეგი ახალგაზრდა მუშის შრომის გარეშე დარჩენაა.

თანამედროვე ცხოვრების პირობები მეტად მძიმეა უმუშევართათვის. ამიტომ უმუშევარ ნორჩ ძალების წინაშედაც სერიოზული მდგომარეობის სურათებია გადაშლილი. ჩვენი სახელმწიფო ორგანოების და ფართო საზოგადოების მოვალეობაა: ხელი შეუწყონ ყველამ და ყველგან უმუშევართ, რითაც და რა სახით იქნება შესაძლებელი.

ახალგაზრდობა მომავლის შექმნილი ძალაა. თუ ჩვენ ვეტრფით და ვაფასებთ მომავალს, უნდა სიფრთხილით მოვეკიდოთ ახალგაზრდათა საკითხსაც.

უმუშევარ ახალგაზრდების ფიზიკური განადგურებისაგან გადარჩენა უაღრესად ეროვნული საქმეა. ყველა ის, ვინც იღწვის სიტყვით თუ საქმით ეროვნულ კეთილდღეობის საკურთხეველზე, არ დაზოგავს თავის ძალღონეს ნორჩი ძალების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

დავეხმაროთ უმუშევარ ახალგაზრდებს!

## პრესა

**Правая-левая, где странa?** ასეთი სათაურით მოსკოველ „პრავდაში" № 59 მოთავსებულია მოწინავე, რომელიც მოგვყავს აქ სავსებით:

„აგრარული და გლეხთა საკითხები დღეს ყველგან პირველ რიგებშია წამოყენებული. არა მარტო მუშათა პარტიებისათვის, არამედ ბურჟუაზიისთვისაც. ომის განმავლობაში მთელ სასოფლო მეურნეობის და კერძოთ გლეხის. მეურნეობის შედარებითმა წონამ მნიშვნელოვანათ იმატა. გამწვავებულმა კლასიურმა ბრძოლამ პროლეტარიატსა და ბურჟუაზიასაც დაუსვა პრობლემა გლეხობისათვის ბრძოლისა; ეს იმიტომ, რომ ამ საკითხის გადაჭრიდან,— თუ საით წავა საშუალო გლეხობა, დამოკიდებულია კლასიურ ბრძოლების შედეგები.

„თუ კი ჩვენ განვიხილავთ რევოლიუციონურ მუშათა პარტიების, ე. ი. კომუნისტურ პარტიების პოლიტიკას, მაშინ ჩვენ შევამჩნევთ მეტად საინტერესო მოვლენას: ხშირათ ამ პარტიების ოპორტიუნისტული ელემენტები, რადიკალურ ფრაზების სამოსელში გახვეული, მიდიან კომუნისტურ ინტერნაციონალის სწორი პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელსაც თავის ვალდებულებათ მიაჩნია მოიპოვოს სიმპატიები გლეხობის ულარიბეს ფენებისა და ნეიტრალიზაცია უქნას მის დანარჩენ ფენებს. ასე იყო იტალიაში, ასევეა ახლაც ნორვეგიაში და სხ.

რუსეთში კარგა ხანია ოპორტიუნისტი სოციალ-დემოკრატები, მენშევიკები, რომლებიც „წმიდა პროლეტარულ" პარტიის როლს თამაშობდენ, გვისაყვედურებდენ ჩვენ გლეხებისადმი ზედმეტ სიმპატიებში, სულ ახლო წარსულში მარტოვის და ლიბერდანის „სოც. უწყება" აცხადებდა, რომ ბოლშევიკები და ესერები, ორი ფრაქციაა წვრილ-ბურჟუაზიულ გლეხურ სტიქიისა (რაც არ უშლის მენშევიკებს ესერებთან ერთად დადგენ ბარიკადებს მიღმა.

ამავე დროს, რუსეთის რევოლიუციის მთელმა მსვლელობამ დაამტკიცა, რომ ჩვენა ვართ მართალნი. თუ კი არ დავდგებით ცეხურ თვალსაზრისზე მუშების მხოლოდ ცეხური საჭიროებათა დაცვისა, არამედ წავიყვანთ მუშათა კლასს მთელი საზოგადოების გარდამქნის გზით, მაშინ აუცილებელია ვიზრუნოთ იმისთვის, რათა პროლეტარულ ავანგარდს ჰყავდეს ზურგს უკან და მიყავდეს ბრძოლაში მძიმე გლეხური ქვეითა ჯარი. მხოლოთ ამ გზით შეიძლება ბურჟუაზიის დაძლევა. ვისაც ეს ვერ გაუგია, ის განწირულია ოპორტიუნისტულათ გადაქცევისათვის, რა ხმებიც არ უნდა გამოსცეს მან „გლეხურ" გადახრის წინაღმდეგ.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამის გაგება რუსეთში, სადაც გლეხური მეურნეობა არის ფუძე მთელი ეკონომიკისა. შეიზრდება თუ არა ეს ეკონომიკა სოციალიზმში, ან და ახალ კაპიტალიზმში, უპირველეს ყოვლისა მისგან არის დამოკიდებული, გაწყდება თუ არა ჩვენი კავშირი გლეხობასთან. **მთელი ძალა ბოლშევიზმისა რუსეთში მასში მდგომარეობდა რომ ის არ კმაყოფილდება აბსტრაქტული მსჯელობით პროლეტარიატის დიქტატურაზე**, არამედ შეგნებული ქონდა, რომ მას ამ დიქტატურის განხორციელება არ შეუძლია, თუ თან არ გაიყოლებს გლეხობას. არ დანახვა ასეულ მილიონ გლეხობისა, გლეხთა მილიონ კომლებისა, და სხ.—სიბრმავეს ნიშნავს. ნამდვილი რევოლიუციონური პოლიტიკა ისეთი პოლიტიკაა, რომელიც მტკიცეთ აიღებს ბრძოლით მიღწევის მაქსიმუმს.

„სწორეთ ამიტომ იყო, რომ რევოლიუციის ყოველ სტადიაზე ჩვენი პარტია აყენებდა იდეას მუშათა და გლეხთა კავშირისას პროლეტარიატის ხელმძღვანელობის ქვეშ, რომელსაც ჩვენი პარტია ანხორციელებდა, ეს საფუძველთა საფუძველია ბოლშევიკური პოლიტიკისა განმტკიცებული უნდა იქნეს ხანგრძლივ პერიოდში. და თუ თითო ოროლა ხმები ჩნდება, რომლებიც არსებითად წარმოადგენენ მენშევიკურ ცეხურ „მუშათა მოყვარეობის" გამოძახილისას რუსეთის მუშათა კლასის რევოლიუციონური ამოცანების ანგარიშზე, მაშინ მას გადამჭრელი წინააღმდეგობა უნდა გაეწიოს. მუშათა და გლეხთა კავშირი—მტკიცე, ურყევი კავშირია—ამით ჩვენ გავიმარჯვებთ".

წინად ასე არ მსჯელობდენ მარქსისტები და როდესაც ჩვენ მშრომელ გლეხობას ვესარჩლებოდით, რომელიც მარქსისტებს გაუსწორებელ კონსერვატორებად მიაჩნდათ, ამიტომ ჩვენ წვრილ ბურჟუაზიულ პარტიად გვნათლავდნენ, ვინაიდან თქვენ იცავთ გლეხობას—ამ წვრილ ბურჟუაზიასაო. ბოლშევიკებმა კი რუსეთის რევოლიუციის გავლენით უარჰყვეს შაბლონიური მარქსიზმის ცეეური შეხედულება გლეხებზე არ დაკმაყოფილდნენ **აბსტრაქტულ მსჯელობით პროლეტარიატის დიქტატურაზე** და მივიღეთ მუშათა და გლეხთა დიქტატურა. ამ რიგად რევოლიუციამ თავისი გაიტანა და კაბინეტში შემუშავებული თეორია დამარცხდა. მშრომელი გლეხობა და პროლეტარიატი განუყრელი ძმები აღმოჩნდა, რასაც ჩვენ მუდამ ვამტკიცებდით.

## მეტი ყურადღება სოფელს

4.

ჩემს პირველ წერილში ვწერდი, რომ დღეს, როდესაც ძირითადი ცვლილებები ხდება საბჭოთა რესპუბლიკებში და კერძოდ საბჭოთა საქართველოში დიდ ენერგიას და თავდადებულ მუშაკებს მოითხოვს ჩვენი სოფლები მეთქი.

პირველი ასეთი ძირითადი ცვლილება არის კერძო საკუთრების გაუქმება მიწაზე, მისი ყიდვა-გაყიდვის მოსპობა და მთელი მიწა-წყლის გადაცემა მიწის მუშა გლეხკაცობაზე, რომელნიც თავიანთ საკუთარ მარჯვენით იმუშავებენ და არ გამოიყენებენ დაქირავებულ მუშა-ხელს.

ხოლო მეორე დიდი ცვლილება არის რელიგიის დაცემა, ცრუ მორწმუნეობის მოსპობა და სამღვდელოების გავლენის გაქრობა-გაქარწყლება სოფლის გლეხობაში, რომელნიც შებოჭილნი იყვნენ ცრუ მოქადაგეთა ზეგავლენით.

მიწის რეფორმის გატარება დიდ დაკვირვებას და შესწავლას მოითხოვს

საქართველოში, როგორც ყველას კარგად მოეხსენება სხვა და სხვანაირი ნიადაგია; ზოგი ნაყოფიერი, რომელიც არც მორწყვას თხოულობს და არც დიდ შრომას; მოსავალი კი კარგი მოჰყავს. ზოგი სარწყავია, მაგრამ მოსავალს მცირეს იძლევა; ზოგი კიდევ იმნაირი სახნავებია, რომელნიც შრომას მეტს მოითხოვს და ხანდისხან იმდენ შემოსავალს არ იძლევა, რომ თესლი მაინც აანაზღაუროს.

ხშირია ისეთი სახნავი მიწებიც, რომ ორი ქცევა მიწა სამნაირად განსხვავდება ღირსების მხრივ, რომელსაც თავი და ბოლო მწირი აქვს, ხოლო შუა წილი კი პირველი ხარისხის ნიადაგს წარმოადგენს. ამ შემთხვევაში კარგი დაკვირვებაა საჭირო, აწონ-დაწონვა, რომ მიწის რეფორმით ყველა მიწის მშრომელი გლეხი კმაყოფილი დარჩეს და გული არა ჰქონდეს ნაკლული.

მართალია დღეს სწრაფის ნაბიჯით ტარდება მიწის რეფორმა და ადვილი შესაძლებელია ბევრი შეცდომები მოხდეს მიწის წესიერად დანაწილებაში და არც შეიძლება არ მოხდეს, რადგან, როგორც ზევით მოგახსენეთ, მიწის ნიადაგის სხვა და სხვანაირობა ისეთია ჩვენში, რომ ამ შეცდომებს ვერ ავცდებით, მაგრამ შემდეგში მაინც უნდა ვეცადოთ, რომ ეს შეცდომები თან და თან გამოსწორდეს და ყველა გლეხმა კმაყოფილად იგრძნოს თავი.

ვინც კი იცის ჩვენი გლეხის ხასიათი, რომელიც ნიადაგ მიწაზე შრომობს ადვილად წარმოიდგენს იმ განუსაზღვრელ სიყვარულს მიწისას, რომელსაც ჩვენი გლეხი განიცდის!

გლეხისთვის მიწა ყველაფერია. ის ცოლ-შვილზე ნაკლებად არ უყვარს. მან კარგად იცის, რომ უმიწოდ ცხოვრება არ შეუძლიან, როგორც უჰაეროდ სუნთქვა.

თუ გლეხს მიწა აქვს სამყოფი მას ცხოვრებისა არ ეშინიან, ბუმბერაზია, სალი კლდე და ყოველნაირ გასაჭირს, თუ ლხინს გულადად, შეუპოვრად ხვდება წინ.

ყოველი მტკაველი მიწა გლეხკაცისთვის ძვირფასი საგანძურია და თუ გარემოებამ მოითხოვა ამ ერთ მტკაველი მიწისთვის სიცოცხლეს გასწირავს, არაფერს მოერიდება.

ამისათვის არის, რომ დიდი სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს მიწების გამნაწილებელმა კომისიებმა და, თუ ეხლა ვერ აიცდენს უნებლიე შეცდომებს, შემდეგში მაინც გამოსწორდეს საქმე სასურველად.

გლეხი საუკუნოებით მიწას ჩასცქერის, მასთან არის შესისხლხორცებული, დღემდის მისი სანატრელი და საზრუნავი ის იყო, რომ ოროდ გროში შეეგროვებინა, რომ მებატონისთვის მიეგდო, ოღონდ მიწა შეეძინა, რომ თავისუფლად ეგრძნო თავი, თავის ნაშრომი თითონვე დარჩენოდა.

დღეს გლეხობა ამ მხრივ უზრუნველყოფილია საბჭოთა საქართველოს მთავრობის მიერ გამოცემულ მიწის რეფორმის წყალობით და თუ სამართლიანად მოხდება მისი ცხოვრებაში გატარება ამით ურყევი საძირკველი ჩაეყრება მშრომელი გლეხობის გულში ახლად ფეხ-ადგმულ მუშურ გლეხურ საბჭოთა საქართველოს რესპუბლიკას და თვით გლეხები იქნებიან პირველი მისი დამცველები და ვერავითარი ჯადოსნური ძალა და სიტყვა გულს ვერ შეუცვლის მათ სოციალისტურ ხელისუფლებისადმი.

როგორც ზევითაც ვსთქვით, მეორე ცვლილება, რომელიც დიდ გავლენას ახდენს სოფელზე და ახალ პირობებს ჰქმნის არის რელიგიის უარყოფა, მისი მავნებლობის მოსპობა და რელიგიის დამცველ სამღვდელოების გავლენის დაცემა.

როგორც იცის მკითხველმა, მკვიდრად ჰქონდა ფესვი გადგმული ქრისტიანულ სარწმუნოებას ჩვენს ხალხში და ამას შეიძლება პირველ ხანებში, როდესაც ის ჩვენმა ხალხმა მიიღო და აღიარა, დიდი მნიშვნელობაც ჰქონდა, რადგან ქრისტეს სწავლა, მისი ქადაგება უკეთესი იყო იმ კერპთაყვანისმცემლობაზე, რომელსაც ჩვენი ხალხი მისდევდა; და არც შეიძლება დიდი მნიშვნელობა არა ჰქონოდა, რადგან ქრისტეს მოძღვრება მიმართული იყო ერთიერთის სიყვარულში, ძმობა-ერთობაში, დავრდომილთა და ღარიბ-ღატაკთა აღდგენაში.

თვით ქრისტეც ხომ უბრალო დურგლის შვილი იყო, ღარიბ ხალხთან აღზრდილი, რომელიც თავის მოძმეებთან ერთად განიცდიდა ჭირ-ვარამს და სიდუხჭირეს მაშინდელ უსამართლო წესწყობილების წყალობით და წინაღუდგა ამნაირ უსამართლობას და მოინდომა დამონავებულ მოძმეთა განთავისუფლება, რომელმაც თვით იკისრა ბელადობა და შემოიკრიბა თავის გარშემო მაშვრალნი და ტვირთმძიმენი.

ქრისტემ სასტიკი ომი გამოუცხადა მაშინდელ სამღვდელოებას და მათ ფარისევლობას ყოველ ფეხის გადადგმაზე ამხელდა, რომელნიც მაჯლაჯუნასავით დასწოლოდნენ ადამიანის გონებას და გასაქანს არ აძლევდნენ.

აკი ვერც შეურიგდა მაშინდელი სამღვდელოება ქრისტეს ასეთს გაბედულ ნაბიჯს მათ წინააღმდეგ გადადგმულს, დაასმინეს ის მაშინდელ მთავრობასთან, როგორც „მოღალატე" და დასაჯეს ისე, როგორც სჯიდნენ ბოროტმომქმედ ავაზაკებს, ჯვარს აცვეს.

ამით შეისრულეს გულის წადილი და მოიშორეს მათი ფარისევლობის მამხილებელი!

მაგრამ ამით ვერ აიცილეს საფრთხე მაშინდელმა სამღვდელოებამ. ქრისტეს მიმდევარი მოწაფეები ვერ შეაშინა მასწავლებლის სიკვდილმა და მათ განაგრძეს მასწავლებლის მიზნების შესრულება.

მაგრამ შემდეგში როგორ შეასრულა ქრისტეს მოძღვრება სამღვდელოებამ, რომელთაც ნებსით იყო თუ უნებლიეთ იკისრეს მის მაგიერობა და ვითომდა მისი აზრების განხორციელება?

რამდენი ჟამი და დროც მიდიოდა სამღვდელოებამ თან და თან გადამახინჯება და უკუღმა შებრუნება დაიწყეს ქრისტეს მოძღვრებისა თავიანთ სასარგებლოდ და ხალხის გონების დასამახინჯებლად, დასაბნელებლად. იქამდისაც კი გაკადნიერდნენ, რომ ის ღმერთის ძეთ მონათლეს, შეთხზეს ათასნაირი ჭორები და საუკუნოების განმანლობაში ჰკვებავდნენ ამ ჭორებით ხალხს.

ეკლესიები, რომლებშიაც ხალხი იკრიბებოდა ხოლმე ძველად და ახალ მოძღვრებას გადასცემდნენ ერთმანეთს, სამღვდელოებამ თავიანთ სავაჭრო დუქნებად გადააქციეს, ზიზილ-პიპილებით ააჭრელეს ადამიანის თვალის მოსახიბლავად და თვითონაც ფარჩა-ატლასში გამოეხვივნენ.

დაუწყეს ხალხს უმოწყალოდ ნებადართული ლეგალური ძარცვა და, მკვდარს თუ ცოცხალს, ტყავს აძრობდნენ ქრისტეს სახელით და თვითონ კი განცხრომით ატარებდნენ დროს.

სამღვდელოება მარჯვენა ხელად გადიქცა ყოველგვარ ხელისუფლებისთვის, რომელი ხელისუფლებაც დაყრდნობილი იყო უსამართლობაზე, ხალხის ჩაგვრა-მონობაზე და ყოველთვის ქონებრივ დახმარებას უჩენდა ამ ერთგული სამსახურისთვის ქრისტეს სახელით მოვაჭრე ფარისევლებს და სიბნელის მთესველებს.

დამახინჯებულმა სარწმუნოებამ შებოჭა ადამიანის გონება და გზა შეუღობა უკეთეს მომავლისადმი ძიების და ყოველნაირ მოვლენას ბუნებისას ღმერთს, უხილავ ღვთაებას აწერდა.

სამღვდელოება ებრძოდა მეცნიერებას და ბევრი მეცნიერი და მკვლევარი ბუნების მოვლენეებისა მსხვერპლი გახდა ამ ცრუ ფარისევლებისა.

მაგრამ მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდან სამღვდელოების გავლენა თან და თან დაეცა და ჩვენმა ხალხმა, ადრევე შეაქცია ზურგი, მაგრამ თუ ის კიდევ ფეხ-მომაგრებული იყო, ეს მიეწერება თვითმპყრობელი ნიკოლოზის რეჟიმს, რომელიც დიდ მფარველობას უწევდა.

საკმარისი იყო რუსეთში თვითმპყრობელობა დამხობილიყო, რომ სამღვდელოებასაც ძირი გამოსთხროდა. ამას კარგად გრძნობდა სამღვდელოება და კიდევაც იბრძოდა რევოლიუციის წინააღმდეგ. ის კიდევ შეურიგდებოდა კერენსკ-მენშევიკების რეჟიმს, რადგან ამ რეჟიმის წყალობით კიდევ შეეძლოთ ბატონობის გაგრძელება, მაგრამ საბჭოთა წყობილებამ მათ მდუღარე გადაასხა და მთლად გარიყულნი დარჩნენ.

და რაღა გასაკვირელია თუ დღეს მთლად მოწყვეტილი დარჩა სამღვდელოება და ხალხს მეტ ბარგად მიაჩნია ისინი.

დღეს უვლება აყრილი სამღვდელოება გაიძახის: სარწმუნოების მოსპობა გამოიწვევს ხალხში ბოროტებას, ერთმანეთის დაუნდობლობას, ზნეობის დაცემას, ხალხის სულიერ სიმდაბლესო.

მაგრამ მათ ასეთ ქადაგებას წინ უნდა დავახვედროთ შეგნება-განვითარება, კულტურული მუშაობა.

საბჭოთა საქართველოს ხელისუფლებას დიდი ენერგიის გამოჩენა მართებს, რომ მართლა არ გამართლდეს სამღვდელოების ნათქვამი და ხალხი არ დარჩეს უვიცობის ბურუსში.

ჩვენს სოფლებში სასწრაფოდ უნდა მიექცეს ყურადღება სწავლის საქმეს, მეტადრე ჩამორჩენილ კუთხეებში, უნდა აუხსნათ ხალხს და ჩავაგონოთ,

რომ სარწმუნოების მოსპობა, რომლის წყალობითაც იჩაგრებოდნენ, არ ნიშნავს ზნეობის დაცემას, ერთმანეთის უნდობლობას, გაუტანლობას და სულის სიმდაბლეს.

მთელი შეგნებული ქართველობა, ვისაც კი სწამს ჩვენი ხალხის კეთილდღეობა ამ საქმეში დიდი დახმარება უნდა გაუწიოს მთავრობას და მოეხმაროს ხალხის გათვითცნობიერებაში.

ყოველ სოფელში აუცილებლად უნდა დაარსდეს სკოლები, მოეწყოს კულტურული გასართობები, რომლის წყალობითაც უნდა ამაღლდეს ჩვენი ხალხი გონებრივად, ზნეობრივად და ფართო ხასიათი უნდა მიეცეს მეცნიერებას, რომელიც შეაგნებინებს თავის ვინაობას ჩვენს ხალხს და გააძლიერებს ჩვენს ერს.

**დვანელი გლეხიშვილი.**

# რადიო დეპეშები

## რურის ოლქის ოკუპაცია

**ამერიკის შუამავლობა**

**ბერლინი** 26 მარტი. ამერიკის სენატორმა სპენსერმა გერმანიის ოკუპაცია ქმნილ ოლქებში მოგზაურობის დროს „ნიუ-იორკ გერალდის“ კორესპონდენტს განუცხადა, რომ ამერიკის მთავრობა უსათუოდ მიიღებდა თავის თავზე შუამავლობას რურის კონფლიქტში რომ გერმანიის და საფრანგეთს გადაედგათ ამ მხრივ ზოგიერთი ნაბიჯები.

**რა ულირს გერმანიას ოკუპაცია**

**ბერლინი.** 26 მარტი. გერმანიის ფინანსთა მინისტრის მოხსენების მიხედვით, საოკუპაციო ჯარების შენახვა 1922 წლის ბოლომდე დაუჯდა გერმანიას 4 ნახ. მილლიარდი ოქროს მარკა თუ არ მივათვლით ოკუპანტების მიერ „სანკციის“ გატარებისა და მოკავშირეთა საკონტროლო კომისიის შენახვისათვის გაწეულ ხარჯებს. მინისტრმა ხაზგასმით აღნიშნა რომ ეს თანხა გაცილებით უფრო მეტი წარმატებით მიეცემოდათ გერმანიის კრედიტორებს, ან მოხმარდებოდა საფრანგეთის დანგრეულ ოლქების აღდგენას. მან აგრეთვე განაცხადა, რომ გერმანიის სამხედრო ბიუჯეტი ერთი წლის წინ ომამდე უდრიდა მხოლოდ 3,4 მილიარდ ოქროს მარკა.

**საოკუპაციო არმიის გაძლიერება**

**ბერლინი.** 26 მარტი. საფრანგეთის სამხედრო მინისტრმა მაჟინომ დეპუტატთა პალატაში განაცხადა, რომ აუცილებელია რურის საოკუპაციო არმიის გაძლიერება 20000 კაცით.

**სტინესი-დიპლომატი**

**რომი** 26 მარტი. სტინესი ჩავიდა რომში სადაც მას თათბირი ჰქონდა ამერიკის ბანკირთან ბუსსთან. ხვალ სტინესს თათბირი ექნება ამერიკის ერთ-ერთ მსხვილ მრეწველთან გარეისონ, რომელიც აგრეთვე ჩავიდა რომში, სტინესის გამგზავრებას იტალიის დიპლომატიურ და ფინანსიურ წრეებში დიდ მნიშვნელობას აძლევენ და ფიქრობენ, რომ მისი ჩამოსვლა გავლენას მოახდენს საერთაშორისო მდგომარეობაზე. ფიქრობენ აგრეთვე, რომ სტინესს თათბირი ექნება იტალიის კაბინეტთან.

**ლოიდ-ჯორჯის შეკითხვა**

**პარიზი.** 26 მარტი. „სანდეი ტაიმსი“-ს ცნობით, ოთხშაბათს ლოიდ-ჯორჯი მისცემს შეკითხვას ინგლისისმთავრობას აქვს თუ არა უკანასკნელს იმის იმედი რომ მიიღებს საფრანგეთის მთავრობიდან საბოლოო პასუხს რურის საკითხში მისი პოლიტიკის შესახებ.

**საკვირველი შეხვედრა**

**პარიზი** 26 მარტი. რომში ჩავიდა ინგლისის დელეგატი საკონტრიბუციო კომისიაში ბრედბერი იქვე ჩავიდა სტინესი.

**კრუპის წარმოებებში**

**პარიზი.** 26 მარტი. ესსენში კრუპის წარმოებებში მუშაობა შემცირებულია კვირის ყველა დღეებში 1 საათით, ხოლო შაბათს 2 საათით. ამის გამო საშუალო ხელფასი შემცირებული იქნება ერთი მესამედით.

**მდგომარეობა რურის ოლქში.**

**ლონდონი** 26 მარტი. „დეილი მეილის“ სპეციალური კორესპონდენტი რურის ოლქში პარსიფალ ფილიპპო იტყობინება დიუსელდორფიდან, რომ დაკავებულ ოლქებში მრეწველობის მდგომარეობა უფრო და უფრო უარესდება, მრავალი მაღაროები და ფაბრიკები ან დახურული არიან, ან მუშაობენ ნაწილობრივ ნედლი მასალის უქონლობის გამო. ყოველგან გრძნობენ სამხედრო ბლოკადის შედეგებს. კორესპონდენტის ცნობით, საფრანგეთს განზრახული აქვს განაგრძოს თავის ორგანიზაციული რეპრესიების პოლიტიკა, რათა დააჩოქოს გერმანია.

**ბატონობენ.**

**ბერლინი** 26 მარტი. საკონტრიბუციო კომისიამ აუკრძალა გერმანიის მთავრობას ოქროს ექსპორტი მისი ნებართვის გარეშე. კომისიამ უარი სთქვა აგრეთვე ეცნო გერმანია-შვეიცარიის შეთანხმება დამზღვევ საზოგადოებათა შესახებ. აკრძალვას ასაბუთებენ ვერსალის ხელშეკრულებით 248 მუხლზე მითითებით.

**საოკუპაციო ვალი ამერიკისადმი.**

**მოსკოვი** 26 მარტი. პარიზის ცნობით ამერიკის დელეგატმა გადასცა თავის მთავრობას მოკავშირეთა ექსპერტების საბოლოვო წინადადება ამერიკის არმიის საოკუპაციო ხარჯების მოწესრიგების საკითხის შესახებ. მოკავშირენი თანახმა არიან გადაიხადონ 80 მილ. ოქრ. მარკა უპროცენტოთ. განზრახულია გადახდა მოხდეს 12 წლის განმავლობაში.

**კუნო მოლაპარაკების წინაალმდეგ.**

**მოსკოვი** 26 მარტი. ბერლინიდან იტყობინებიან, რომ კანცლერი კუნო გამოვიდა მიუნხენში სიტყვით, რომელშიდაც განაცხადა, რომ გერმანიის მთავრობა არ დაიწყებს მოლაპარაკებას საფრანგეთთან და არ აღძრავს შუამდგომლობას სხვა სახელმწიფოთა შუამავლობის შესახებ, სანამ რურის ოლქი არ იქნება დაცლილი.

## გერმანიის ამბები.

**იძულებულნი არიან ანგარიში გაუწიონ.**

**მოსკოვი.** 26 მარტი. ბერლინიდან იუწყებიან, რომ დრეზდენში და ესენში მოხდა უმუშევართა გრანდიოზული დემონსტრაციები. ესენის მთავრობა იძულებული შეიქმნა ეცნო უმუშევართა საბჭო და ამსრულებია მთელი რიგი მათი მოთხოვნილებებისა.

**მიტინგები.**

ბერლინში შესდგა ოთხი მრავალრიცხოვანი მიტინგი, რომელზედაც გამოვიდნენ ბერლინიში მყოფი უცხოელი კომუნისტები. დარბაზს, რომელშიაც ხდებოდა მიტინგები იცავდენ გაძლიერებული პროლეტართა რაზმი.

**სევერინგის სიტყვა.**

**მოსკოვი.** 26 მარტი. პრუსიის ლანდტაგის სხდომა, რომელიც მოწვეულ იქნა სევერინგის გამომჟღავნების მიზნით, დიდი ინტერესით ჩატარდა. ყველგან გაზეთები იტყობინებოდენ, რომ სევერინგმა თავისი მამაცობით შესძლო ახალი კაპის აჯანყების თავიდან აშორება. ხალხით გაჭედილი დარბაზი მოელოდა სენსაციურ გამომჟღავნებას. მაგრამ სევერენგმა შემოფარგლა თავისი სიტყვა მემარჯვენე გადატრიალების საფრთხის საერთო აღწერით მინისტრმა დაიწყო თავისი სიტყვა იმით, რომ [illegible] გამოუცხადა როგორც სამხედრო [illegible] მემარჯვენე ორგანიზაციებს, [illegible] ორგანიზაციებს. მთავრობის მხრივ შეიარაღებულ პროლეტარულ რაზმებისათვის გაწეული დახმარება, როგორც ამას კომუნისტები მოითხოვენ. თვითმკვლელობა იქნებოდა მთავრობისათვის შემდეგ სევერინგმა, რომელსაც სიტყვას აწყვეტინებენ კომუნისტები, განაცხადა, რომ პრუსიის მთავრობა პასუხისგებაში მისცემს თავდაცვის ყოველგვარ რაზმების ორგანიზატორს, იქნება იგი მემარჯვენე თუ მემარცხენე ორგანიზაცია. პროლეტარული რაზმები გებსბერგის დარეიმშეიდის ოლქებში დაშლილი იქნებიან. ეხება რა მემარჯვენე ორგანიზაციების მოღვაწეობას, სევერინგი აუწყებს მემარჯვენე ორგანიზაციების კონფერენციის შესახებ, რომელიც გაიმართა რისბახის თავმჯდომარეობით, ამ კონფერენციამ მოახერხა ყველა მემარჯვენე ელემენტების ორგანიზაციული გაერთიანება.

**კომუნისტური პრესის დევნა.**

**მოსკოვი.** 26 მარტი. აუსბურგში დააპატიმრეს ბავარიის „როტე ფანე“ ს რედაქტორები: მილლესი და გამერი. გაზეთი დახურეს ათი თვით.

## უცხოეთი

**რა უჯდება გერმანიას მოკავშირეთა ჯარის შენახვა**

**მოსკოვი.** 26 მარტი, სახელმწიფო ხაზინის მინისტრმა გერმანიის რეიხსტაგში განაცხადა, რომ ხარჯები მოკავშირეთა ოკუპაციის დასაფარავად 1922 წელში გერმანიას დაუჯდა 4-ნახ. მილიარდი მარკა.

**ამერიკა ცნობის გარშემო**

**მოსკოვი.** 26 მარტი, ნიუ-იორკის გაზეთ „იუნაიტიტ პრესი“ მის მიერ ვაშინგტონიდან სარწმუნო ცნობების თანახმად იტყობინება, რომ ამერიკა დასთანხმდება იცნოს საბჭოთა მთავრობა შემდეგი პირობებით: საბჭოთა მთავრობამ თავი უნდა შეიკავოს რევოლიუციონურ პროპაგანდისაგან ამერიკაში; უარყოს კონფისკაციების სისტემა, იცნოს ხელშეკრულებათა დაურღვევლობა, და აგრეთვე თავისი ვალი ამერიკის მიმართ კერენსკის მთავრობისათვის მიცემულ 187 მილ. დოლარის ჩათვლით აღადგინოს ამერიკელების საკუთრება, რომელსაც კონფისკაცია უყო რუსეთმა. „იუნაიტ პრეს“-ი აღნიშნავს, რო ზემო აღნიშნული პირობები წარმოადგენს ერთათ-ერთ ბაზა შეთანხმებისათვის.

გაზეთი. „უორლდი“, დასცინის რა. იუზის მიერ თავის სიტყვაში მოყვანილ საბჭოთა რუსეთის ცნობის საწინაალმდეგო დასაბუთებას, მოაგონებს, რომ ამერიკამ თავის დროზე თავიდან უარი სთქვა თავის ვალდებულებების გადახდაზე. გაზეთი სწერს; „ჩვენ ვფიქრობთ რუსეთის ვალები გადახდილ იქნება არა უგვიანეს, ვინემ სხვა ზოგიერთი ვალები, რომლებიც ირიცხება იმ სახელმწიფოებზე, რომლებთანაც ამერიკა საუკეთესო დამოკიდებულებაშია.

**ნანსენი რუსეთის შესახებ**

**მოსკოვი.** 26 მარტი, ვესმინსტერის გაზეთში გამოქვეყნებულია მთელი რიგი ნანსენის წერილებისა რუსეთის საკითხის შესახებ. პირველი წერილი შეეხება გრძელ ინტერვიუს ტროცკისთან ამ საუბრისაგან ავტორს გამოყავს დასკვნა, რომ რუსეთი მზათ არის განიარაღებისათვის და აგრეთვე მზათ არის იცნოს ეკონომიურ ფაქტორების უპირველესი მნიშვნელობა მსოფლიო პოლიტიკაში.

**საბჭოთა რუსეთის ცნობის გარშემო.**

**მოსკოვი.** მარტის 26-ს იაპონიის პარლამენტის სხდომაზე პრემიერმა კატომ განაცხადა, რომ იაპონიის მთავრობა იქნება იქნება ძლიერ მოხარული, თუ მას მიეცემა შემთხვევა იცნოს საბჭოთა რუსეთი, მაგრამ დაამატა, რომ ცნობა შესაძლებელ მხოლოდ მას შემდეგ როცა იაპონია და რუსეთი ერთმანეთს გაუგებენ.

იაპონიის გაზეთი „კოკუმინ“ აღნიშნავს, რომ საჭიროა განკავებულ იქმნას ხელშეკრულებანი, რომელნიც დასდო საბჭოთა რუსეთმა, იმ ხელშეკრულებათაგან, რომელიც დასდო რუსეთის წინანდელმა მთავრობამ თავისთავად ცხადია ამბობს გაზეთი რომ ჩამოაგდო რა ბურჟუაზია, რუსეთს არ შეუძლია იცნოს ძველი ვალდებულებანი.

# ახალი ამბები

— **გორის აღმდგენელ კომიტეტს.** საქართ. სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა: გორის აღმდგენელ მთავარ კომიტეტის განკარგულებაში გადაიდეს 500 მილიონი მანეთი, გორის აღსადგენ წინასწარ საორგანიზაციო მოწყობის საჭიროებისათვის.

— **წითელ ჯვრის სასარგებლოდ.** საქართ. სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით, საქართველოს წითელ ჯვრის სასარგებლოდ საპირადო წიგნაკების გაცემის დროს გადახდილი უნდა იყოს 3 კაპეიკი ოქროთი.

# სადღეისო საკითხი.

რასაკვირველია, თანამედროვე რევოლიუციონურ მოძრაობის დროს სადღეისო საკითხები მრავალია; ბლომად არის ისეთი კითხვები, რომელნიც დიდ ყურადღებას მოითხოვენ რევოლიუციის ბელადების და მოძრაობის ხელმძღანელებისაგან. მაგრამ არის საკითხი, რომელიც მუდამ ახალს და ყოველ წუთში სათუთ მოპყრობას თხოულობს. ეს საკითხია ეროვნული საკითხი. ცხოვრების როგორ პერიოდშიაც არ უნდა ვიყოთ, იქნება ეს კაპიტალიზმისა და იმპერიალიზმის ბატონობის ხანა, თუ უაღრესი სოციალისტური რევოლიუციის პერიოდი, ეროვნული პრობლემა ყოველთვის პირველ რიგში დგება სხვა კითხვებთან ერთად და მოითხოვს შესაფერისს ყურადღებას. ეს გარემოება უმთავრესად გამოწვეულია იმით, რომ მთელი მსოფლიო მაგარი ეკონომიური ჯაჭვებით არის ერთმანეთთან გადაბმული და დიდსა და პატარა ერებს უერთმანეთოდ წარმატება არ შეუძლიათ. ასეთი მჭიდრო ურთიერთობისა და დამოკიდებულების დროს პირველ რიგში დგება ამ ერთა ინტერესები.

მაგრამ განსაკუთრებული სიძლიერით ეროვნული საკითხი დიდ ყურადღებას მოითხოვს რევოლიუციონურ პარტიებისგან იქ, სადაც მუშურ-გლეხურმა ხელისუფლებამ გაიმარჯვა და საფუძველი ეყრება ახალს წყობილებას. აქ ყოველს ნაბიჯს, ყოველ პოლიტიკურ ხაზს ათასჯერ ესაჭიროება აწონდაწონვა, რომ არ იქნეს დაშვებული დიდი შეცდომები, რასაც შეუძლია გამოიწვიოს მცირე ერთა ინტერესების შელახვა და მასთანვე დაფრთხობა. ფართო მასები თავიანთი ერის ინტერესებისა და წარმატებით ძლიერ არიან დაინტერესებულნი; თუ რევოლიუციამ და ახალმა ხელისუფლებამ ეს მიზნები ფართო მშრომელ მასებს არ გაუნაღდა, ეს გარემოება ძლიერ დააფრთხობს მათ და შექმნის რევოლიუციის პროცესში ხელის შემშლელ ელემენტებს. ამიტომ რევოლიუციის ინტერესები და მათი წარმატება დაჟინებით მოითხოვს ეროვნული საკითხის სწორ ნიადაგზე დაყენებასა და გადაჭრას.

როგორც მკითხველსაც მოეხსენება, ამ რამდენიმე თვის წინად ჩვენში გაცხარებული კამათი იყო იმის შესახებ, თუ როგორი ფორმებითა და მეთოდებით მოწყობილიყო საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი, ეს კამათი სწარმოებდა, როგორც პარტიებს შორის, ისე პარტიის შიგნითაც. თვით პარტიულ ამხანაგებსაც ვერ მოეძებნათ გარკვეული ხაზი ამ საკითხის შესახებ, იმდენად მწვავედ იდგა ეროვნული მომენტი საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის საქმეში.

როგორც ჩვენში, ისე სხვაგანაც კამათმა ამ საკითხის შესახებ მეტად მწვავე ხასიათი მიიღო. ბოლოს 1922 წლის დეკემბრის 31-ს მოსკოვში მოხდა პირველი ყრილობა ს. ს რესპუბლიკების კავშირისა; სადაც ერთხმად მიღებული იქმნა კავშირის დებულებები. ყრილობამ აირჩია საკავშირო ცენტრალური აღმასკომი და მისი პრეზიდიუმი. რამდენიმე ხნის შემდეგ ამ დებულების რატიფიკაცია მოახდინეს რამოდენიმე მოკავშირე რესპუბლიკებმა. ამ გვარად ყრილობის მიერ მიღებული დებულებები კავშირის შესახებ თითქოს ძალაში შევიდა. მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული საკითხი ამის შემდეგ მოწესრიგებულად უნდა ჩაითვლილიყო საბჭოთა რესპუბლიკებში, ეს პრობლემა მაინც მთელი თავისი სიმძიმით წამოიჭრა არსებულ ხელისუფლების წინაშე და ისიც იძულებული შეიქმნა ანგარიში გაეწია მისთვის. ამას მოწმობს ის გარემოება, რომ ცალკე რესპუბლიკების კომპარტიების ყრილობებზე მორიგ კითხვად არის დასმული ეროვნული მომენტი საბჭოთა აღმშენებლობის საქმეში. ამას წინათ ამ კითხვას მეტად საყურადღებო პასუხი გასცა საქ. კომპარტიის ყრილობამ. უახლოეს მომავალში მის შესახებ იმსჯელებს რუსეთის კომპარტია. რუსული კომუნისტური პრესაც ამუშავებს ამ საკითხსა და არკვევს ამ სფეროში მორიგ ამოცანებს. ამ მხრივ საყურადღებო არის ამხ. ლ. ტროცკის წერილი და ამხ. ლ. კამენევის სიტყვა საქ. კომპარტიის ყრილობაზე.

აღსანიშნავია აგრეთვე ის გარემოებაც, რომ დეკემბრის თვეში მიღებული ს. ს. რ. კავშირის დებულებები კვლავ რევიზიის საგნად ხდება და რამოდენიმე მომენტი ცვლილებას მოითხოვსო. ცნობილია, რომ რუსეთის კომპარტიას ძლიერ ეხერხება შეცდომების გასწორება და ახალს მიზანშეწონილს გეგმებზე გადასვლა, ასე მოხდა წარსულში ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემუშავების დროს. კავშირის შემუშავების საქმეშიც. კომპარტიამ უარყო ფანატიზმი და კრიტიკულად აზროვნებს, მათ შესძლეს რამოდენიმე საყურადღებო შეცდომის აღმოჩენა. ეს გარკვევითა და ნათლად აღნიშნა ამხ. კამენევმა თავის სიტყვაში.

როგორც მკითხველსაც მოეხსენება, მემარცხენე ს.-ფედერალისტებსა და კომპარტიის შორის კამათი იყო მთელ რიგ კითხვების შესახებ, რომელთაც უახლოესი დამოკიდებულება აქვთ საბ. რესპუბლიკების კავშირის საქმესთან:

ჩვენ მოვითხოვდით და ვიცავდით, რომ 1) შექმნილიყო ერთი საკავშირო უმაღლესი ორგანო, რომელიც შესდგებოდა რესპუბლიკების წარმომადგენლებისაგან. 2) დაცული ყოფილიყო ყოველი რესპუბლიკის თანასწორი წარმომადგენლობა, 3) დაცული ყოფილიყო თვითეულ მოკავშირე ერთა დამოუკიდებლობა და 4) ამიერ-კავკასიის ერები დამოუკიდებლად შესულიყვნენ საბჭოთა კავშირში. კომპარტია ამ დებულების საწინაალმდეგო მოსაზრებებს იცავდა და რესპუბლიკების კავშირის პროექტიც მათი გაგების მიხედვით არის შედგენილი, მაგრამ ცხოვრების მიმდინარეობამ და პირობებმა გამოააშკარავა, რომ ჩვენი მოსაზრებანი უფრო სწორი გამოდგა და კომპარტიას თავისი შემუშავებულ პროექტების რევიზია დასჭირდა.

ამას ნათლად ამოწმებს ამხ. ლ. კამენევის მოხსენება, გაკეთებული საქ. კომპარტიის ყრილობაზე, ამხ. კამენევი ამბობს: „ჩვენ მაშინვე დავინახეთ ერთი შეცდომა, სახელდობრ, რესპუბლიკების კავშირის მოწყობის პროექტში არ იყო გათვალისწინებული ის ორგანო, რომელიც აერთიანებდა რესპუბლიკებს. როგორც მოგეხსენებათ, საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი ორგანო არის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საკავშირო სახალხო კომისართა საბჭო. როცა გავეცანით აღმასრულებელ კომიტეტის შემადგენლობას ჩვენ დავინახეთ, რომ იქ საბჭოთა ფედერატიულ რუსეთის რესპუბლიკას ჰყავდა გაცილებით მეტი წარმომადგენლები, ვიდრე იყო წევრად კავშირში შემავალი სხვა რესპუბლიკები. ამით პირველ ყოვლისა ვაძლევთ იარაღს ჩვენს მტერს...

**ამიტომ დაიბადა აზრი, ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის მაგივრად დაწესებული იქნეს ისეთი ყრილობა, რომელშიაც შევლენ საბჭოთა რესპუბლიკები, არა მცხოვრებთა რაოდენობის, არამედ თვით რესპუბლიკის ეროვნულ ნიშნების მიხედვით. ასე რომ ყოველ რესპუბლიკას ყრილობაში ეყოლება თანასწორი წარმომადგენლობა** (ხაზი ჩემია).

ამხ. კამენევის ნათქვამიდან შემდეგი დასკვნა შეიძლება გამოტანილი იქმნეს: 1) საბჭოთა კავშირი უნდა შესდგეს **რესპუბლიკების** თანასწორ წარმომადგენლებისაგან. ეს არის ეროვნული ეგალიტარიზმის პრინციპი; ამას ვიცავდით ჩვენ მუდამ და აქ რამდენიმე თვის წინად, როდესაც კამათი სწარმოებდა საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის შესახებ.

ამხ. კამენევი განაგრძობს: **„პროლეტარულ რევოლიუციის განვითარებისათვის ჩვენ უნდა დავიცვათ იმ რესპუბლიკების დამოუკიდებლობა, რომელიც ჩვენ თვითონ ვაღიარეთ საერთო შეთანხმებით: უნდა გამოინახოს კავშირის ისეთი სახე, რომელიც არ შებლალავს დამოუკიდებლობას.** უნდა გაერთიანდეს ყველაფერი, რაც საჭიროა სამხედრო და სამეურნეო კავშირისათვის, მაგრამ ის, რაც ამისათვის არ არის საჭირო, უნდა დარჩეს ამა თუ იმ რესპუბლიკების გამგებლობაში“. ყოველივე ამას ვიცავდით ჩვენ და ასეთსავე ნიადაგზე ვაყენებდით კავშირის მოწყობის საქმეს. ბევრმა საკითხის ასე დაყენება ნაციონალიზმად მონათლა. დღეს რუსეთის კომპარტიის ცეკას ხელით ამ პარტიის მეტად თვალსაჩინო წარმომადგენელი სავსებით იმას ამბობს, რასაც ჩვენ ვსწერდით. ეს არის ჩვენი მორალური გამარჯვება.

გვინდა აღვნიშნოთ, რომ რუსეთის კომპარტიას, რომელიც აუცილებლად საერთაშორისო რევოლიუციის ბელადი და სულის ჩამდგმელია, ეროვნულ საკითხში ნაკლები ტრადიცია და გამოცდილება აქვს. მისთვის ძნელი და მოუხერხებელი შეიქმნა ეროვნული კითხვის სწორ პრაქტიკულ ნიადაგზე დაყენება და გადაჭრა. მაგრამ კომპარტია უაღრესი პრაქტიკული ალღოთი არის შეიარაღებული. და ამიტომ თანდათან მეტ ყურადღებას აქცევს ეროვნულ საკითხის, ვინაიდან ამას მოითხოვს რევოლიუციის ინტერესები.

მე მინდა ეს წერილი ამხ. **ლენინის** სიტყვებით დავასრულო, რომელიც იმავე ამხ. კამენევს მოყავს თავის სიტყვაში: „სიტყვები და განცხადებები არ არის საკმარისი. ერების გათანასწორება შეუძლებელია სიტყვებით და დადგენილებებით. ეს საკითხი მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას, მოითხოვს მოქმედებას, საქმეს და არა დადგენილებას“.

ასეთი სწორი მოქმედება დიუქინ პროგრამებს სჯობია ეროვნულ საკითხში.

**ხან—დონი.**

— **სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს წარმომადგენელი.** საქარ. სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს წარმომადგენლად ნავთსადგურის საქმეების კომიტეტში ამიერ-კავკასიაში—დანიშნულია ამხ. კ. მოდებაძე.

— **აბრეშუმის თესლი.** სახალკო კომისართა საბჭოს უკანასკნელ სხდომაზე მოსმენილ იქმნა შრომის კომისარიატის რწმუნებულის ამხ. ერქომაშვილის მოხსენება აბრეშუმის თესლზე არსებულ სახელმწიფო მონოპოლიის საჭიროების შესახებ.

— **განათლების მუშაკთა სახლი.** განათლების მუშაკთა კავშირის შუამდგომლობა, რუსთველის პროსპექტზე და გიმნაზიის ქუჩაზე მდებარე დამწვარი სახლის გადაცემის შესახებ განხილულ იქნა კომისართა საბჭოს მიერ და საბოლოო დასკვნისთვის გადაეცა ქალაქის ალმასკომს. სახალხო კომისართა საბჭო შესაძლებლად სცნობს დასახელებულ სახლის გადაცემას განათლების მუშაკთა კავშირის საჭიროებისათვის მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ სახლი განახლებულ იქნება ქ. ალმასკომის პროექტის მიხედვით.

— **ადგილობრივ ალმასკომების სასარგებლოთ.** საქართ. სახალხო კომისართა საბჭომ წინადადებით მიმართა მიწად-მოქმ. სახ. კომისარიატს, რათა 1922 წლის მეორე ნახევრიდან სატყეო და საძოვარ ადგილების შემოსავლიდან 20 პროც. გადარიცხულ იქნას ადგილობრივ ალმასკომების სასარგებლოდ.

— **სათიბ ადგილების ექსპლოატაცია.** საქ. სახ. კომისართა საბჭომ მოიწონა მიწად-მოქმ. სახ. კომისარიატის მოხსენება რესპუბლიკაში არსებულ ყველა სათიბ ადგილების ექსპლოატაციის შესახებ.

— **საარბიტრაჟო სასამართლო.** სახალხო კომისართა საბჭომ წინადადება მისცა იუსტიციის სახალხო კომისარიატს შეიმუშავოს პროექტი საარბიტრაჟო სასამართლოს შესახებ და წარუდგინოს საბჭოს განსახილველად.

— **ისტორიულ განძეულობის დაცვა.** განათლების სახალხო კომისარიატის მოხსენების თანახმად საქართველოს სახალ. კომისართა საბჭომ დაადგინა მიიღოს სათანადო ზომები ყველა ისტორიულ განძეულობის დასაცავად. ამ დადგენილების ცხოვრებაში გასატარებლად დაარსებულია განსაკუთრებული კომიტეტი ამხ. დ. კანდელაკის, გეგეჭკორის და ვარქიელის შემადგენლობით, რომელსაც ევალება ამ საქმის ხელმძღვანელობა.

## პროვინციის ცხოვრება

### სამტრედია.

**სახკოლო რევიზია.** ამ დღეებში დასრულდა ქუთაისის მაზრის განათლების გაყოფილების მიერ წარმოებული სასწავლებლების რევიზია, სამტრედიის რაიონში რევიზიას აწარმოებდენ პედაგოგები: ლ. ხმალაძე, სოლომონ ლორთქიფანიძე და ნიკ. ქუთათელაძე.

**მუსიკალური სასწავლებელი,** რომელიც ამას წინად დაარსდა აქ ენერგიულად მეცადინეობს. მოსწავლეთა რიცხვი საკმაოა.

**ტეხნიკუმის შენობა.** ამ რამდენიმე დღის წინად ერთობ ბევრს ლაპარაკობდენ სამტრედიის ტეხნიკუმისათვის საკუთარ შენობის აგების შესახებ, რომლის პროექტი უკვე მიღებულ და დამტკიცებულ იყო, მაგრამ ჯერ-ჯერობით საქმით არაფერი სჩანს და ლაპარაკიც შეწყდა.

**ამინდი.** თებერვალში მეტად თბილი ამინდი იდგა იმერეთში. მარტი ჩვეულებრივ შეშლილ დღეებით დაიწყო. ხან წვის, ხან მზეა და ხან გვალვაა.

**სურსათი.** ამ უკანასკნელ დროს სოფლის ჰირნახული ბაზარზე არა ჩვეულებრივად გაიაფდა, სიმინდი ფუთი 120 ათ. მან. ყველი გირვანქა 30 ათ მან.

**„საღამოები და წარმოდგენები"** ეპიდემიათ გადაიქცა. მას ყველა ჰმართავს, გარდა ხელოვანისა და მსახიობისა, ამ რიგად მახინჯდება ენა და ეცემა თეატრის პრესტიჟი.

**ტეხნიკუმის საღამო.** ამ შემთხვევაში გამონაკლისად უნდა ჩაითვალოს სამტრედიის ტეხნიკუმის მიერ გამართული საღამო-წარმოდგენა, რომელიც ერთად ერთი შნოიანი და ხელოვნების მხრივ მომზადებული საღამო იყო წლის განმავლობაში.

**გადამდები სენი.** ეს რამდენიმე დღეა სამტრედიის რაიონში გაჩნდა და სწრაფად გამძვინვარება იწყო გადამდებმა სენმა ტიფმა, უკვე იყო რამდენიმე სიკვდილის შემთხვევა, ტიფით ავათ არის აგრეთვე ადგილობრივი ექიმი ჯაში. უკანასკნელ დროს ტიფი მოედო თვით ქ. სამტრედიას; საავადმყოფოში დღე ღამის განმავლობაში მოჰყავთ ავადმყოფები. ყველაზე საშიშ მდგომარეობაში იმყოფებიან აქაურ სასწავლებლების მრავალ-რიცხოვანი მოწაფეები.

## მუშათა ცხოვრება.

### ფეიქართა კავშირში.

**მცხეთის ფეიქართა სახელოსნო.** ს. მცხეთაში დაარსებულია ფეიქართა სამრეწველო სახელოსნო. ფეიქართა კავშირის პრეზიდიუმმა გაგზავნა თავისი წარმომადგენელი, ადგილობრივ პირობების გასაცნობად. ამას გარდა შუამდგომლობა აღიძრა მიწად-მოქმედების კომისარიატის წინაშე რათა მცხეთის საფეიქრო სახელოსნოში გაგზავნილი იყოს სპეციალისტი-ფეიქარი, რომელიც მისცემს საჭირო განმარტებებს ფეიქართა სამრეწველო დარგში.

— **ქალთა განყოფილებები პროვინციაში.** ფეიქართა კავშირმა გაგზავნა თავისი წარმომადგენელი პროვინციაში, ქალთა განყოფილებების მოწყობის მიზნით. განყოფილებები მოეწყობა ჯერ-ჯერობით შემდეგ ადგილებში: ახალ სენაკში, სამტრედიაში, ფოთში, და ოზურგეთში. კავშირის უმთავრესი მიზანია ქალებში განათლების შეტანა და მათი გათვითცნობიერება და გაცნობა საერთაშორისო მდგომარეობისა.

— **სატარიფო შეთანხმება.** კავშირმა მოახდინა სატარიფო შეთანხმება შემდეგ დაწესებულებებთან: ყველა სამეურნეო და კერძო დაწესებულებებთან, დარბინიანის საფეიქრო სახელოსნოსთან, ამ.-კავკ. საგარეო ვაჭრობის მატყლის სახელოსნოსთან და მიწად-მოქმედების კომისარიატთან არსებულ შინა-მრეწველობის სახელოსნოსთან.

### კომუნალურ მეურნეობის კავშირში.

— **მუშათა სახლები.** კომუნალურ მეურნეობის კავშირის ერთ უმთავრეს ამოცანას შეადგენს მუშათა სახლების სათანადოთ მოწყობა. ეს სახლები დიდ სამსახურს უწევენ მუშებს და ბევრნაირად ანელებს ბინის კრიზისს. შევიწროებულ ბინის მქონე მუშებს დღეს საშუალება მიეცათ მოეწყონ შესაფერ პირობებში. კავშირის სამდივნოსთან დაარსდა საბინაო კოოპერატივი. ეს უკანასკნელი განაგებს მუშათა სახლებთ და დროგამოშვებით უკეთებს საჭირო რემონტს.

— **სანიტარული განათლება.** სამდივნომ განიზრახა მუშაობა სახლებში მცხოვრებლებს სთხოვოს დროგამოშვებით იკითხონ ლექციები სანიტარულ განათლების შესახებ. ზაფხულის მოახლოვებისთანავე მოსალოდნელია სხვა და სხვა ავადმყოფობის გაჩენა. ამის საწინააღმდეგო ბრძოლად კავშირს ერთ-ერთ საშუალებად მიაჩნია მუშათა სახლებში დაიცვას სისუფთავე და ამასთანავე გაიღოს საჭირო თანხა, რომელიც განსაკუთრებით მოხმარდება ამ საქმეს.

— **პროვინციის დათვალიერება.** პროვინციებში არსებულ განყოფილებების დასათვალიერებლად შესდგა კომისია ამხ. სერგეევის ხელმძღვანელობით, რომელიც მიემგზავრება ბათომში, სოხუმში, ფოთში, ახალ სენაკში, ქუთაისში, ლანჩხუთში, ბორჯომში, გორში და ოზურგეთში ადგილობრივად ინსტრუქციების მისაცემად და მუშაობის პირობების გამოსარკვევად.

## მენშევიკების რევიზია.

**გთხოვთ გამოაქვეყნოთ შემდეგი წერილი.**

თითქმის ექვსი წელიწადია, რაც ჩვენი პატარა ქვეყანა საშინელ ქარცეცხლშია გახვეული. საარაკო მოუსვენრობა, მუდმივი ნერვიულობა, უმაგალითო მსხვერპლთა გაღება, ფიქრი იმაზე, რომ შეიძლება კიდევ უარესიც უქადის ჩვენს ერთ მტკაველა მიწა-წყალს. იმის მეათასედის გამეორება ჩვენს პატარა ქვეყანაში, რაც მოხდა ვეებერთელა მრავალ მილიონიან მცხოვრებ რუსეთში, აღგვის დედამიწის პირისაგან სამ მილიონიან მცხოვრებ საქართველოს. და ნუ თუ ეს ვინმესათვის საჭიროა? სახალხო საქმე ხომ ხალხისთვისაა, რათ გვინდა სოციალიზმი უხალხოთ.

თუ ოდესმე საქართველოს მშვიდობიანობა ესაჭიროებოდა, დღეს ყველაზე უფრო საჭიროა ეს. უნდა დარწმუნდეს ჩვენი მიწის მუშა, რომ მას შეეძლება მშვიდობიანად დასთესოს, გამარგლოს და მომკას. უნდა სჯეროდეს ჩვენს მუშას, რომ სამუშაოზე გასულს, მას შეუძლია მშვიდობით დაუბრუნდეს საღამოს თავის ცოლშვილს.

ვინ იტყვის: დღეს რაკი რევოლიუციონური ხანაა, ეს შეუძლებელიაო,—ის შემცდარი იქნება. განა რევოლიუცია და სისხლის ღვრა სინონიმებია? რევოლიუცია ხომ გარდაქმნაა და სოციალურ-კულტურული აღორძინება მაინც და მაინც სისხლის მორევს მოითხოვს?

რა გზით შეიძლება ჩვენში ეს მშვიდობიან კულტურული აღორძინება? რა გზით შეიძლება ჩვენი ხალხის დაჭიმული ნერვები დაწყნარდეს, ხალხმა ცოტა თუ ბევრათ თავისუფლათ ამოისუნთქოს და არ კვნესოდეს ზოგი თავის მამაზე, ზოგი შვილზე, ძმაზე, დაზე, დედაზე, სიძეზე და სხ. რა გზით შეიძლება, რომ ამ დამგლოვიარებას თითქო ყველას სახლში მიცვალებული ესვენოს, ბოლო მოეღოს?

ამისათვის ერთად-ერთი გზაა:

რათაც არ უნდა დაჯდეს, უნდა გამოინახოს საერთო ენა კომუნისტურ პარტიასთან. სხვა გზა არაა.

ეს უნდა ითქვას აშკარათ და გაბედულათ. ცრუ თავმოყვარეობა, პარტიული ჟინიანობა განზე უნდა გადაიდოს ჩვენი ხალხის საკეთილდღეოთ, მისი სულიერი სიმშვიდისათვის, მისი კულტურულ აღორძინებისათვის, მისი ფიზიკურ არსებობის შენარჩუნებისათვის.

საკმაოთ დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ. რაც საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა ჩვენს ქვეყანაში. ამ ორ წელს ბევრი რამ უნდა ესწავლებინა, რომ ჩვენს წინაშე დგას ვეებერთელა რუსეთი; უნდა ესწავლებინა, რომ იმპერიალისტური ინტერვენცია ჯერ ერთი რომ მიუღებელია, და მეორე ფიქციაა, ზღაპარი და მეტი არაფერი.

ლოიდ-ჯორჯებს, პუანკარეებს და კერზონებს თუ ესაჭიროები—მხოლოდ ლუკმად. და ამ ლუკმას ისინი საჭიროების დროს სრულიად გულდამშვიდებით გადაუცვლიან ყველას, ვინც საკომპენსაციოდ საბაჟო ტარიფს დაუკლებს, ან რომელიმე „ზონაში" უპირატესობას მიანიჭებს, ან კიდევ სხვა რამეს დაპირდება.

არ ვიცით განა ამის მაგალითები?!.

უნდა შევიგნოთ,—რომ ჩვენ ვერ გავხდებით იმპერიალისტების სათამაშო ბურთად. ნუ თუ ამ 2 წლის განმავლობაში ეს ვერ შევიგენით!

და თუ ვერა, აწი მაინც უნდა შევიგნოთ. სინამდვილეს პირდაპირ უნდა შევხედოთ თვალებში, რაც უნდა მწარე იყოს ის. ფაქტს ვერ გავექცევით და რომც გავექცეთ, ფაქტი მაინც ფაქტად დარჩება.

და ფაქტი, სინამდვილე გვეუბნება, რომ სოც.-დემოკრატიულმა პარტიამ აუცილებლად უნდა გადაათვალიეროს თავისი სავალი გზა.

წელიწადზე მეტია, რაც მე პარტიაში არ ვმუშაობ და არ ვიცი აქაურ ხელმძღვანელთა პოლიტიკური წონა, მარა ყველასათვის ცხადია, რომ ამ პარტიის ცეკა ინერციით ძველ გზას მიჰყვება და ეს გზა კი სასიკეთოს არაფერს უქადის ჩვენ ქვეყანას. პარტია, რომელიც ანგარიშს არ უწევს დროსა და გარემოებას, რომელიც მიჰყვება მხოლოდ გრძნობას და გონებას ნაკლებათ ეკითხება, ხელმძღვანელათ ვერ გამოდგება.

ბევრი გრძნობს ამას დღეს, მარა სამწუხაროდ, ხმას არ იღებს. ეს ღრმა შეცდომაა, დანაშაულობაა ჩვენი ქვეყნის წინაშე, თუმცა ობიექტიური პირობებიც ხელს უწყობს ამ დუმილს. ეს პირობებია: თავისუფალ ორგანოს უქონლობა, თავისუფლად მოლაპარაკების შეუძლებლობა.

ერთი სიტყვით, ჩვენი ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესები მოითხოვს საქ. სოც.-დემოკრატიის ძიერ თავის ძველი გზის გადათვალიერებას, ახალ გზის გამონახვას და შეცვლილ პირობებში ამ ახალ გზით ჩვენი ხალხის სამსახურს. დაწვრილებით მე არ ძალმიძს ამ გზის გაშუქება, მარა ერთი კი ცხადია: უნდა გამოინახოს საერთო ენა საქ. კომ. პარტიასთან, უარყოფა იმპერიალისტურ ინტერვენციისა და საზოგადოდ ყოველგვარ ავანტიურისა და მშვიდობიანი მუშაობით ჩვენი ხალხის კულტურულ აღორძინებისათვის სამსახური.

სანამ ასეთი ჯგუფი არ ჩამოყალიბებულა, მე ძველი გზით სიარული ჩვენი ქვეყნის დამღუპველად მიმაჩნია, და მანამ ყოველგვარ პოლიტიკურ მუშაობაზე ხელს ვიღებ.

(„კომუნისტი")

**ქ. გოგოლაძე**

## ლიტერატურული გასამართლება

**პროსტიტუტკა ქალის ზაბოროვისა.**

ხუთშაბათს, მარტის 22, პროფკავშირთა საბჭოს დიდ დარბაზში შესდგა გასამართლება პროსტიტუტკა ზაბოროვისა. გასამართლებამ იმდენად დაინტერესა მუშათა კლასი, რომ ჯერ 8 საათიც არ შესრულებულიყო და დარბაზში ტევა არ იყო. ბევრი უკან გაბრუნდა ულაგობის გამო.

სრულ 9 საათზე დაიკავეს თავიანთ ალაგები საზოგადოებრივ წარმომადგენელ დამცველმა და ბრალდებულმა. სასამართლოს გამოსვლის დროს მთელი დარბაზი ფეხზე წამოდგა. დაიკავეს აგრეთვე თავიანთ ალაგები მოწმეებმაც.

— საქართველოს სოციალისტურ რესპუბლიკის სახალხო სასამართლოს სხდომას, გახსნილად ვაცხადებ.—გამოაცხადა სასამართლოს თავმჯდომარემ.

სასამართლოს მდივანმა წაიკითხა საბრალმდებლო ოქმი.

წითელ არმიელი კრესტიანოვი უჩიოდა ზაბოროვა, რომ მან, როგორც პროსტიტუტკამ, დაავადმყოფა სიფილისით კრესტიანოვი.

პროსტიტუტკა ზაბოროვა უარყოფს ბრალდებას.

დაიწყო მოწმეების დაკითხვა.

პროსტიტუტკა ქალის ძმამ, მუშა ზაბოროვმა, უტყუარი ჩვენება მისცა სასამართლოს იმის შესახებ, რომ მისი და ჰეშმარიტად ეწეოდა არა თუ მარტო ფარულ პროსტიტუციას, არამედ ივი საროსკიპო სახლში იმყოფებოდა ერთ დროს

ძმის ჩვენების შემდეგ ქალი გამოტყდა, რომ ის არის პროფესიონალური პროსტიტუტკა, მაგრამ თავს მაინც დამნაშავედ არა სცნობს, რადგანაც იგი არის მსხვერპლი ძალდატანებითი პროსტიტუციისა თანამედროვე ეკონომიურ პირობების სიდუხჭირის ზეგავლენით.

როგორც სასამართლოს, აგრედე დამცველ—ბრალმდებელ მხარეთა შორის, დაკითხულ იქნა საექსპერტოდ მოწველი ექიმი ზუმბულიძე, რომელმაც საექსპერტო სიტყვაში აღნიშნა ვენერიული ავადმყოფობას საშინელი ხასიათების მოვლენები.

მხარეების და მოწმეთა დაკითხვის შემდეგ, სასამართლოს სხდომა შესწყდა 5 წ.

სასამართლოს სხდომის განახლებისას, სიტყვა ეძლევა ბრალმდებელ აკკერმანს, რომელმაც ილაპარაკა თითქმის ერთი საათი. მან სთქვა:—ზაბოროვას ქალი არის მარტო დამნაშავე კი არა, არამედ ის არის უსაშინელესი მტერი შეგნებული პროსტიტუტკის სახით რევოლიუციის და მომავალი შთამომავლობის წინაშე! დიახ, ქვენ გვესმის—ამბობს ბრალმდებელი აკკერმანი. რომ ზაბოროვას ქალი რომანოვების მეფობის დროს იყო სოციალურ პროსტიტუციის ძალმომრეობის მსხვერპლი,—**პროსტიტუცია არის კაპიტალიზმი,** ეს ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, მაგრამ მაშინ, როდესაც რევოლიუციამ მოჰკლა ეს კაპიტალიზმი, მაშინ როდესაც ჩვენში დამყარდა მუშურ-გლეხური ხელისუფლება, ჩამოაყალიბა შრომის ბირჟა, დაარსა დედათა და ბავშვთა საზოგადოებები, თავშესაფარები, საავადმყოფოები, მრავალი სახის სხვა და სხვა საქველმოქმედო საზოგადოებები და რაც მთავარია, მან დააკანონა ჩვენს რესპუბლიკაში სოციალურ უზრუნველყოფის საქმე, აი ამ დროს, როდესაც მთელი მშრომელი პროლეტარიატი წითელი დროშებით ფრონტებზე ტყვიას უშვერდა გულს, მუშათა კლასის უფლებების გამარჯვებისათვის და ბოლოს, როდესაც ჩვენს ქვეყანაში მეფობდა ღარიბ-ღატაკთა დიქტატურა,—ყველაფერი ეს დაივიწყა ზაბოროვის ქალმა, ის გაითიშა რევოლიუციიდან, ის გადაიქცა შრომის ქვეყანაში შრომის დეზერტირად, რითაც უღალატა პროლეტარულ კლასს, ის დარჩა ისევ პროსტიტუტკად, ე. ი. გათახსირებულ კაპიტალის მხარეზე. ამიტომ ზაბოროვას ქალი, როგორც მტერი გამარჯვებული პროლეტარიატისა, დამნაშავედ უნდა იქნას ცნობილი. ამავე დროს საშინელი გულის წყრომა უნდა გამოეცხადოს წითელ არმიელ კრესტიანოვსაც იმისთვის, რომ მან, როგორც ასეთმა, ფულით იყიდა სხეული დატანჯული პროლეტარი ქალისა.

დარბაზში თავმოყრილმა ხალხმა, დიდის გულმოდგინებით და სამარისებული სიჩუმით მოისმინა ბრალმდებელ აკკერმანის გრძელი და მხურვალე სიტყვა და გათავებისას ტაშის ცემით დააჯილდოვა.

საზოგადოება გულის ძგერით მოელოდა დამცველ აბრამოვის სიტყვას, მაგრამ იმედები გაცრუვდა. მან, არ ვიცით რატომ, ვერ აღნიშნა თანამედროვე ცხოვრებაში ისეთი მომენტი, რითაც შესაძლებელი იქნებოდა დამნაშავის გამართლება.

ბოლოს სიტყვა ეძლევა თავის დასაცველად დამნაშავე ზაბოროვს.

მან სთქვა:—მე ვსდგევარ სახალხო სამსჯავროს წინაშე და მოგახსენებთ, რომ მე ვარ სხეულით მოვაჭრე ქალი და თუ მასამართლებთ როგორც ასეთს, მაშ გაასამართლეთ თვით ცხოვრებაც. თქვენ ამბობთ, რომ ხალხის მოპოვებულ თავისუფლებას მე გავექეცი და ვარჩიე ისევ ძველი გზით სიარული... ეს არ არის მართალი; პირიქით მე სიხარულით მივეგებე ამ ბრწყინვალე თავისუფლებას, ვინაიდან მე ვგრძნობდი რომ ეს თავისუფლება მოუღებდა ჩემს ტანჯვას ბოლოს და დაფხრეწავდა იმ „ყვითელ ბილეთს", რომელიც ნიკოლოზის მთავრობამ მომცა ნიშნად „უნამუსობისა". მე პირველად საბჭოთა სასადილოში შევედი მოსამსახურედ, მერე სხვაგან, მაგრამ ყველგან მიყურებდნენ „ვაჭრულის თვალით", როგორც „ცოცხალ საქონელს". არა! მე მსურდა ცხოვრება პატიოსანი, მაგრამ არ მიმიღეს... ყველგან ხელი მკრეს... უკანასკნელი სიტყვები დიდის ტანჯვით წარმოსთქვა ზაბოროვამ და პირქვე დაემხო მწარე ქვითინით ღონე მიხდილი.

დარბაზმა მწუხარებით გაიზიარა მისი სულისკვეთება.

სასამართლო სათათბიროდ გავიდა.

გამოაცხადეს განაჩენი:

ფარული პროსტიტუციის გავრცელებისთვის ზაბოროვას ქალი დამნაშავედ იქნა ცნობილი. განაჩენი ამბობს სხვათა შორის, რომ ზაბოროვა გაიგზავნოს საავადმყოფოში და განკურნების შემდეგ „წინადადება" მიეცეს შრომის ბირჟას, რომ სწრაფად მისცეს სამუშაო და მასთანვე გაუმჯობესდეს მისი მდგომარეობა მატერიალურად.

ასეთი იყო „პროსტიტუტკა" ზაბოროვას გასამართლების განაჩენის შედეგი.

**ახოთ-ამწყობი დ. მელაშვილი.**

## საოჯახო მეურნეობა და ქართველი ხალხი.

### ოჯახის დაცემა და მისი აღდგენა

გავიდა საუკუნოები, გავიდა ათასი წლები და საოჯახო კომუნა თუ შრომის სახლი სულ მცირედაც არ იცვლიდა ნირს, მაგრამ აი დადგა მეცხრამეტე საუკუნე, საუკუნე მეცნიერებისა, მაღალი აზრებისა და მეტადრე ათასნაირ მანქანებისა და მსხვილი მრეწველობისა, მეურნეობისა. მანქანებმა და მსხვილმა კაპიტალისტურმა წარმოებამ მოსპო ყველგან წვრილი ქარხნები და სახელოსნოები, რომლებიც მრავლად არსებობდნენ მანამდე ყველგან, და ავად თუ კარგად, მაგრამ დამოუკიდებლად ინახავდნენ თავ თავიანთ თავსა და ოჯახს. ამათ ვერ გაუძლეს მსხვილ ქარხნებისაგან მანქანებზე გაკეთებულ და ბაზარში გამოტანილ საქონლის სიაფეს, მიხურ-მოხურეს თავიანთი მარჩენელი ქარხანა-სახელოსნოები და, ქალიან-კაციანად, პროლეტარისა და ბოგანოს სახით მიაშურეს სამუშაოდ და ლუკმა პურის საშოვნელად დიდ ქალაქების ქარხნებში. ხოლო რაც ხდებოდა და ხდება ამ ქარხნებში, კარგად ვიცით ყველამ. ქარხნებში ამზადებენ აურებელ საქონელს—ფეხსაცმელს თუ ჩითებს და ფარჩებს, მაგრამ თითონ გამკეთებელი მუშები კი, ქალები თუ კაცები, მეტ-წილად ძონძებში და კონკებში ჰლევენ სულსა სადმე გაფაცხოვებულ ქოხებში ანუ ნესტიან სარდაფებში...

ამ მსხვილი კაპიტალისტური მრეწველობის ძლევა-მოსილ მსვლელობას ვერ გაუძლეს იმ პატარა ქარხნებმაც, რომლებსაც ჩვენ საოჯახო კომუნა ანუ შრომის სახლი ვუწოდებთ და ძალა-უნებურად უკლეს ამათაც თავიანთ მუშაობა-წარმოებას იქამდე რომ ოჯახის წევრნი თითქმის სრულიად უსაქმოდ დარჩნენ და ბევრმა ამჯობინა კიდეც მიეტოვებინა ოჯახი და მუშად თუ ნოქრად შესულიყო მსხვილ ქარხნებში.

ცხადია, რომ საქმის ასეთმა გარემოებამ დიდად დააქვეითა ოჯახი და მისი მნიშვნელობა, როგორც ნივთიერად, ისე ზნეობრივად და, ბოლოს, იქამდე მივიდა საქმე, რომ ოჯახი თითქმის სრულიად დაირღვა-დაკნინდა უკანასკნელ ცოლ-ქმრამდის, ხოლო დღეს ლამის არის ამათაც თავი ანებონ ერთმანეთს, რადგანაც ესენიც იძულებულნი არიან დანარჩენების გზას დაადგნენ და ქარხნებში თუ სხვაგან ეძებონ სამსახური და სწორედ ეს გარე-

მოება იყო უმთავრესი მიზეზი, რომ ყოფილ საოჯახო კომუნებს თუ შრომის სახლებს სრულიად დაეკარგა თვისი პირველ-ყოფილი მნიშვნელობა და გადაიქცნენ რაღაც უსახო-უმიზნო დაწესებულებად...

ოჯახის და მისი წევრების ასეთს ვითარებას და უსაქმოდ დარჩენას შინ თუ გარედ ბურჟუაზიული მწერლები და პოლიტიკო-ეკონომისტები უწოდებენ დიდ სახელს ოჯახისა ანუ, უკეთ ვსთქვათ, **ქალთა ემანსიპაციას,** განთავისუფლებას. ესენი ცდილობენ დაამტკიცონ, რომ ეს დიდი ბედნიერება ოჯახის წევრებს მოუტანა მხოლოდ და მხოლოდ მსხვილმა კაპიტალისტურმა წარმოებამ, რის გამოც დიდი მადლობელნი უნდა იყვნენ ესენი მსხვილი წარმოებისაო...

მაგრამ, თუ დავაკვირდებით იმ სამწუხარო შედეგებს, რომლებიც მრავლად მოჰყვა ოჯახის წევრთა ამ „განთავისუფლებას“ ვითომც—და ოჯახის მონობიდგან, დავრწმუნდებით, რომ ეს მოვლენა მეტად სამწუხაროა ოჯახის წევრისათვის, რადგანაც, გარდა იმისა, რომ მსხვილმა წარმოებამ სამუდამოთ მოსპო უამრავი წვრილი ქარხნები და სახელოსნოები, თან სრულიად მიწასთან გაასწორა თვით მათი ოჯახობაც და ძირ-ფესვიანად დაქსაქსა მათი წევრნი...

ჩვენც სიხარულით ვეგებებით ოჯახის განთავისუფლებას ოჯახისავე ყოფილ მონობისაგან და ექსპლოატაციისაგან, მაგრამ, როცა ამ განთავისუფლებას თანა სდევს დამოუკიდებელი შრომის ღირსების დაკარგვა და სხვა მექარხნეთა და მისთანათა კლანჭებში ჩაცვივნა, ამას კი ვერ მოვიწონებთ და ამიტომ წინაამდეგნიც ვიქნებით მუდამ ოჯახის წევრთა ცხოვრებისა და მდგომარეობის ასეთი გეზის მიცემისა, რადგანაც მომავალი, როგორც ვხედავთ დღეს, **შრომას და მშრომელს** ეკუთვნის და, ამიტომ ოჯახის ყოველი წევრიც კი არ უნდა გაურბოდეს შრომის ბუდეს, როგორსაც წარმოადგენდა პირველ-ყოფილი ოჯახი, არამედ, პირიქით, თავგამოდებით უნდა ეძებდეს მას მთელი თავისი არსებით და არც უნდა კმაყოფილდებოდეს იმ მოთხოვნებითი უვერული თავისუფლებით (უსაქმურობით) რომელნი ვითომც—და მიანიჭა მათ მსხვილმა წარმოებამ.

ხე ნაყოფით იცნობაო,—სთქვა ქრისტემ. აშკარა ნიშნებია, რომ დღეს სამუდამოთ ისპობა მსხვილი მეურნეობა და ქვეყანა კვლავ უბრუნდება წვრილ ოჯახურ შრომის სახლებს, ხოლო არა ისეთებს, როგორიც არსებობდა ჩვენში და რომლის ნიმუში ჩვენ ზემოთ მოვიყვანეთ ქ. გვარამაძის წერილიდან, როგორც ულრესად მონური და დესპოტიური, არამედ უბრუნდება ნამდვილ ადამიანურ სამეურნეო ამხანაგობას—კომუნას.

აი აქ არის, მკითხველო, მთავარი კვანძი სამეურნეო ოჯახის განვითარების ახალი გზისა და ჩვენი ვალია ზედ-მიწევნით ავუღოთ მას ალღო და ისე მოვაწყოთ იგი, რომ ძველი დახავსებული, უვარგისი ოჯახი, დამყარებული, როგორც თვით მთელი ძველი სახელმწიფოს ოჯახის უფროსის განუსაზღვრელ ხელისუფლებაზე, შევცვალოთ ნამდვილ თავისუფალ კულტურულ სამეურნეო ოჯახად, რომლის მუშა წევრნი ყოვლად თანასწორნი იქნებიან ერთმანეთის წინაშე და თანასწორადვე მიიღებენ ხელფასსა...

რა არის სამეურნეო ოჯახი, სამეურნეო კომუნა ანუ შრომის სახლი, როგორც ჩვენ დავარქვით მას პირველად?

ეს არის ნამდვილი კულტურული კავშირი, რომლის უმთავრესი მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ თავ-გამოდებულ შრომით მის შემადგენელ წევრთა ნამდვილ სამოთხედ აქციონ თავიანთი საოჯახო მამული და ისე აწარმოვონ მისი საქმე და შემოსავალი, რომ იგი უხვად აჯილდოვებდეს წევრთა თავ-გამოდებულს შრომას, რომ ყველას პირნათლად აძლევდეს სანიმუშო ხელფასს და თან უზრალო მაგრამ ყველას დამაკმაყოფილებელ საერთო ცხოვრებას—ჭამა-სმას, სამუშაო ჩაცმა-დახურვას და სხვა.

აი დაახლოვებით დასურათება იმ მიზნისა და გარკვევა იმ გზისა, რომლითაც უნდა ვიდოდეს დღეიდან ყოველი სამეურნეო ოჯახი, რომ გამარჯვებით მივაღწიოთ ოჯახის იმ მაღალს დანიშნულებას, რომელიც ჩვენ მას დავაკისრეთ ზემოთ.

განმარტება ასეთი ახალ ოჯახისა შემდეგისათვის იყოს.

**ივანე როსტომაშვილი.**

---

## გიორგი სიხარულიძე

ამ ერთი თვის წინად სამტრედიაში გულშემზარავი და სამარცხვინო ტრაღედია დატრიალდა.

სანადიროთ წასული **გიორგი სიხარულიძე** ვილაცათა ავაზაკმა ხელმა მოაღრჩო და რიონის ნაპირს დააგდო.

გიორგი სიხარულიძე საქართველოში საკმაოდ ცნობილი ძველი მებრძოლი—რევოლიუციონერი იყო. საქართველოს განმათავისუფლებელ ბრძოლის ჟამს 1905 წელს გიორგი სიხარულიძე ევროპაში **არჩილ ჯორჯაძის** დირექტივებს ასრულებდა და ევროპიდან მოტანილ იარაღით უპირებდა რუსეთის საიმპერატორო მთავრობას აფეთქებას.

გიორგი, როგორც რევოლიუციონერი 1902 წ. მოღვაწეობდა კახეთის გლეხებში.

მაგრამ ფასდაუდებელი და სასწაულებრივი იყო გიორგის ღვაწლი ლიხის გადმოღმა, მთელი სამტრედია თითქმის მისი აშენებულია. არც ერთი საზოგადო საქმე არ წამოწყებულა აქ, რომლის მხურვალე მონაწილე გიორგი არ ყოფილიყოს.

აქაური საზოგადოება და თვით ფართე მასა გიორგის იცნობდა, როგორც დაუღალავ თავდადებულ და პატიოსან მუშაკს. მას იცნობდენ როგორც ზნოიან მსახიობ რეჟისორს (სამტრედიის თეატრი მისი დაარსებულია), როგორც კარგ მეაბრეშუმეს, მრეწველს და ერთი სიტყვით გიორგი არაჩვეულებრივი ადამიანი იყო. მასთანვე უსაზღვროთ თავაზიანი, უწყინარი და გაჭირვებულთა გამკითხე... ყველა მას ემადლიერებოდა, ყველა მას აქებდა.

ყველა ამის შემდგომ საკვირველზე საკვირველია და საზღაპრო ამ იშვიათ ადამიანის ასე უშნოდ დაღუპვა, მის დამშვენებულ სიცოცხლის ეს ტრაგიული ბოლო... სამტრედიის საზოგადოება ვალდებულია ამ ჯადოსნურ სიმხეცეს ფარდა ახადოს.

**ევროპიელი.**

### სამძიმარი

ეს ეს არის გავიგე ჩვენი ყოფილი ამხ. გ. სიხარულიძე ტრაღიკულად დაღუპულა.

გულ-წრფელათ ვსტირი პატიოსანი მოღვაწის და საყვარელი მეგობრის გიორგი სიხარულიძის უდროვოდ დაკარგვას.

ნუ თუ კეთილი გიორგის სახემ არ შეაჩერა ულმობელი ავაზაკი?

**ეფრემ ჩახუნაშვილი**

მოსკოვი.

---

## მოწერილი ამბები

### ბაქო.

წინეთ ხშირ ხშირათ იმართებოდა ქართული წარმოდგენები ვიქტორ მატარაძის ხელმძღვანელობით, მაგრამ ეხლა მიყუჩდა. დროგამოშვებით თუ წაიკითხავთ ქართულ ენაზე აფიშებს: „არშინ მალ-ალან“ და სხ.

რუსული დრამის საქმე კარგათ მიდის. დასში საუკეთესო ძალებია და რეპერტუარიც საყურადღებო.

აქაური ოპერა თითქმის კონკურენციას უწევს ტფილისის ოპერას, ხშირ-ხშირად ჩამოდიან ტფილისიდან საგასტროლოდ ოპერის პრემიერები. ხალხი აუარებელი ესწრება, როგორც ოპერის, აგრედვე დრამის წარმოდგენებს.

სატირ-აგიტის თეატრი დეფიციტშია.

ბაქოში მოღვაწეობს ადერბეიჯანის დრამა, საუკეთესო მსახიობებით და რეპერტუარით, როგორც ნათარგმნი, აგრედვე ორიგინალურ პიესებისაგან. საერთოდ აქ კულტურული ცხოვრება ნელნელა ილვიძებს.

ეს არ ითქმის განჯაზე, სადაც კულტურული ცხოვრება, დროებით მიყუჩებულია.

---

## წერილი სოფლიდან

**შორაპნის მაზრა.** წარსულ წლების საშინელმა სიმშილობამ სოფლის წვრილი მეურნეობა სრულიად დააქუცმაცა და დაშლა. ოჯახის დოვლათი, რომელიც შეძენილი იყო მრავალი წლების განმავლობაში, სრულიად გაიფლანგა. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ძვირფასი საგანძური ზემო-იმერეთისა ჩაიზიდა მეტნაწილად გურიაში. ღვინო,—ეს ერთად ერთი წყარო ამ მაზრის მცხოვრებთა არსებობისა, განუწყვეტლად იზიდებოდა გურია-სამეგრელოში და სამ ფუთ იქ ზურგით ჩატანილ ღვინოში ერთ ფუთ სიმინდს მიიღებდენ. მთელი მეურნის ქონება: სამუშაო საქონელი, ღვინო, ტანსაცმელი, ძვირფასი ნივთები და სხვა სრულიად გაიფლანგა. ეკონომიური ცხოვრება მრავალ წლობით შენდება და მრავალი დრო გაივლის და ხალხი მწვავედ იგრძნობს დანაკლისს. წელს სიმინდის მოსავალი კარგი იყო და ამ მხრივ უზრუნველყოფილნი არიან, მაგრამ ეს არ კმარა. ადამიანს აქვს კიდევ სხვა მოთხოვნილება უფრო ინტენსიური—სულიერი. ჩვენ უპირატესობას ვაძლევთ უკანასკნელს, რადგან სულიერი სიამოვნება უფრო ფართოა, ვიდრე ფიზიკური და დღეს, როდესაც ჩვენ სოფლებში შეგნება შეჭრილია, მკვიდრნი მწვავედ განიცდის სულიერ მოთხოვნილების დაუკმაყოფილებლობას. ყველას სურს თავის ბავშვებს ასწავლოს, მაგრამ ოჯახის ბიუჯეტი მეურნეს არ აძლევს საშუალებას ამ დიად მიზანს მიაღწიოს. არ აქვს ღვინო (წელს ცუდი მოსავალი იყო,) არ ყავს საქონელი (რადგან წარსულში სიმინდში გაყიდა), რომ გაყიდოს და დღეს, ამ ფულის სიძვირის დროს 100,000 მან. ვერ იშოვნი სოფელში. ინტელექტუალურ მოთხოვნილებას რომ თავი დავანებოთ, ჰიგიენა ხომ აუცილებელია. ამ მხრივ მთლიანად სოფელი სიბინძურეში იხრჩობა. ეს აჩენს სხვადასხვა გადამდებ სენს, რომელიც ქრონიკულად ცოცხლად სტანჯავს ხალხ. სოფლის მცხოვრებთა ჰიგიენურად გაჯანსაღება ეს მთელი რევოლიუცია იქნებოდა და სიცოცხლის სურვილის ინტენსიობას გაუათკეცებდა. ხალხს არ აქვს საცვლები, საპონი, ტანსაცმელი და არც სახსარი მის შესაძენად. მოახლოვდა აპრილი, როცა ვენახის ნორჩ ყლორტებს შაბიამნით მოწამლა უნდა; მაგრამ რამდონი ვენახი დარჩება წელს მოუწამლავი, რადგან მეპატრონე ვერ იშოვნის წამლის შესაძენ თანხას?.. ახალი ნამყენების გაშენება, როგორც ძველად იყო და მიწის გადაბრუნება, თითქმის სულ არ სწარმოებს. ამნაირად ზემო-იმერეთის ამ უნუგეშო კონკრეტ სურათს მევყევართ შემდეგ დასკვნამდე: სოფელი დღეს მეურნეობით განიცდის კრიზისულ მომენტს, ეს მაზრა განსაკუთრებულ მდგომარეობაშია და განსაკუთრებულ დახმარებას მოითხოვს.

**შმაგი.**

---

## სხვა და სხვა

— **ლოიდ ჯორჯი—უნივერსიტეტის რექტორი.** ლოიდ ჯორჯი არჩეული არის ედინბურგის უნივერსიტეტის საპატიო რექტორათ. პროფესორებისა და სტუდენტებისათვის მადლობის გამოსაცხადებლად ლოიდ ჯორჯი ჩავიდა ედინბურგში, სადაც განზრახვა ქონდა წაეკითხა საჭირო მოხსენება უნივერსიტეტში შემდეგ თემაზე: „დაბრკოლებანი პოლიტიკაში“. ედინბურგელმა სტუდენტებმა დემონსტრაცია გაუმართეს მას, აწყვეტინებდენ სიტყვას, ესროდენ კონფეტტებს, ქაღალდის ნაჭრებს და სხ., სანამ ყოფილმა პრემიერმა უარი არ განაცხადა სიტყვის გაგრძელებაზე. ყოველივე ეს იმიტომ, რომ ლოიდ ჯორჯი,—ახალგაზდა ედინბურგელ სტუდენტების აზრით,—იმ პოლიტიკოსთა ჯგუფს ეკუთვნის, რომლებიც არ ასრულებენ თავიანთ დაპირებას. კათედრაზე სტუდენტებმა ამართეს სურათი, რომელზეც გამოხატული იყო ლოიდ ჯორჯის მიერ დამღრჩვალი ექსკაიზერი.

— **როგორ გაჩნდა ქაღალდის ფული.** დღეს როდესაც ასე მრავლათ არის ქაღალდის ფულები,—ინტერესს მოკლებული არაა გახსენება იმისა, თუ როგორ იქნა შემოღებული პირველათ მათი ხმარება. 1684 წელს საფრანგეთის საექსპედიციო ჯარები, რომლებიც კანადაში იმყოფებოდენ, უფულოდ დარჩენ. არმიის ინტენდანტმა დე-მეილმა სხვა გზა ვერაფერი მონახა, თუ არა „ბონების“ გამოშვება, რომლებიც დაწერილი იქმ-ენ სხვა შესაფერი ქაღალდის უქონლობის გამო, სათამაშო ქაღალდზე, რომლებიც ჯარში უხვათ მოიპოებოდა. მცხოვრებლები, რომლებიც ენდობოდენ საფრანგეთის მთავრობას, იღებდენ ამ ბონებს, რომლებიც შემდეგში მართლაც იქნა ცნობილი მეფე ლიუდოვიკო მე-14 მიერ. დემეილის მაგალითს—მიბაძეს მისმა მოადგილეებმა საფრანგეთის არმიაში, ასე რომ ფრანგები ანგარიშებს ასწორებდენ ბონებით 1760 წლამდი. ფრანგების მაგალითს მიბაძეს შტატ მასსაჩუტრესის მოქალაქეებმაც, რომლებმაც სახელმწიფო ვალების დასაფარავათ ქაღალდის ფულები გამოუშვეს. რადგან პურიტელების ამ შტატს სათამაშო ქაღალდი არ გააჩნდა, ამიტომ ქაღალდის ფულები გამოშვებული იყო კარდონის ნაჭრებზე, მათი ფასეულობის აღნიშვნით და შესაფერ თანამდებობის პირთა ხელმოწერით.

— **ფასები ბერლინში.** ოფიციალური სტატისტიკურ ცნობებით ფასების ინდექსი პირველ მოთხოვნილების საგნებზე (საჭმელ-სასმელი, ბინა, გათბობა, განათება, ტანთსაცმელზე გაიზარდა საშუალოდ თებერვალში 2643 მარ. (იანვარში 1120 იყო) ე. ი. 136 პროცენტით.

— **ნავთისათვის საბრძოლველად.** ინგლისი დიდ მუშაობაშია ნავთის ტრანსპორტისათვის ახალი გემების აშენების გამო. 1922 წლის უკანასკნელ თვეებში შენდებოდა 62 ნავთის მზიდველი გემი, —საერთო რაოდენობით 391.245 ტონნისა. სერიოზული მოძრაობაა აგრეთვე იტალიაში იმისათვის, რომ რაც შეიძლება მეტი დამოუკიდებელი მუშაობა იქნეს გაწეული ნავთის და მისი პროდუქტების მომარაგების საქმეში.

---

## ხელოვნება

**გრ. რობაქიძის საღამო.** აპრილის 15 ს, რუსთაველის თეატრში გაიმართება გრანდიოზული საღამო გრიგოლ რობაქიძის ევროპაში დროებით გამგზავრების გამო,

—

**მსახიობ ნიკო გოცირიძის ბენეფისი.** ხუთშაბათს, 29 მარტს რუსთველის თეატრში გაიმართება მსახიობ ნიკო გოცირიძის ბენეფისი. წარმოდგენილი იქნება ანტონოვის კომედია „მზის დაბნელება საქართველოში“ კოტე მარჯანიშვილის რეჟისორობით. ნიკო გოცირიძე ოც წელზე მეტია, რაც მსახურებდა სახალხო სცენაზე და აკადემიურ დასში მსახურობს. უკვე მეორე წელიწადია ვასო აბაშიძის შემდეგ ქართულ კომედიაში ნიკო გოცირიძეს პირველი ადგილი უკავია, როგორც ნიჭიერი კომიკური მსახიობი.

**ახალი გუნდი.** საქართველოს პროფესიონალურ საბჭოსთან დაარსდა ქართული მომღერალთა გუნდი ამხ. კალანდაძის ლოტბარობით. გუნდში 40 მეტი ვაჟი და ქალი. მეტი წილი გამოცდილი ხმებია.

გუნდმა უკვე შეისწავლა რეპერტუარი ქართული სიმღერებისა და მონაწილეობას მიიღებს კონცერტებში, რომელიც გაიმართება მუშათა კლუბში.

**წითელი არმიელების გუნდი.** ცენტრარმკლუბთან დაარსდა რუს წითელ-არმიელებისაგან მომღერალთა გუნდი ამხ. კუზმინის ლოტბარობით. გუნდმა შეისწავლა სახალხო და რევოლიუციონური რეპერტუარი. გუნდმა მონაწილეობა მიიღო რამოდენიმე კონცერტში და დასტოვა კარგი შთაბეჭდილება.

ამ კლუბთან არსებობდა ქართველ წითელ არმიელებისაგან შემდგარი ქართული გუნდი ამხ. მირზოიანის ხელმძღვანელობით. განზრახული იყო კიდევაც კონცერტი. მაგრამ დღეს ამ გუნდისას აღარასფერი აღარ ისმის რა.

**ქართველნი მსახიობნი რუსულ სცენაზე.** სოციალური აღზრდის განყოფილებასთან არსებობს რუსული დრამატიული წრე, რომელიც სისტემატიურად კვირაში ორჯერ განსაკუთრებით მოწაფეებისათვის სდგამს წარმოდგენებს. რეპერტუარი შესდგება მეტ წილად იმ პიესებისაგან, რომელთაც პედაგოგიური აღზრდის მნიშვნელობა აქვთ. სხვათა შორის ამ წრეში მუშაობენ ახალგაზდა მსახიობნი: თაყაიშვილი, კორდელი, მესხეთელი და სხვანი, რომელნიც გამოდიან პასუხისმგებელ როლებში და დაიმსახურეს საზოგადოების პატივისცემა, როგორც ნიჭიერნი მსახიობნი. მათი ამპლუა—კომედია. სასურველია ჩვენი აკადემიურ დასის დირექციამ მიაქციოს მათ ყურადღება და შემატოს თავის დასს ეს ნიჭიერი მსახიობები.

**პროლეტარულ ხელოვნების საღამო.** ახლო მომავალში სახალხო სახლში გაიმართება პროლეტარულ ხელოვნების საღამო; საღამოს შინაარსი: რევოლიუციონური პიესა. დეკლამაცია, კონცერტი და სხ. წაკითხულ იქნება აგრეთვე მოხსენება პროლეტარულ ხელოვნებაზე.

**პ. სამსონიძის ახალი კრებული.** ახლო მომავალში გამოვა პროლეტარულ პოეტის პ. სამსონიძის ლექსთა კრებულის მეორე ნაწილი.

---

### წერილი რედაქციის მიმართ

ამხ. რედაქტორო!

გთხოვთ მომითავსოთ შემდეგი განცხადება: დიდი ხანია დაკვირვებით ვეცნობი საქართველოში მომქმედ პოლიტიკურ პარტიებს. დავრწმუნდი, რომ საერთაშორისო რევოლიუცია, რომელიც უნდა მოჰყვეს რუსეთის დიდ რევოლიუციის, საბოლოოდ მოსპობს შრომის ექსპლოატაციას და ერების ჩაგვრას. აი ამ პლატფორმაზე ერთგულად სდგას საქ. მემ. სოც.-ფედ. პარტია. დღეიდან ვირიცხები ხსენებულ პარტიაში და მსურს ჩემი წვლილი შევიტანო იმ პარტიის მუშაობაში, რომელსაც ქართველი ერის სამსახურში წონს ვერავინ დადებს.

**სიმონ გიორგის ძე ბოლქვაძე.**

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

განცხადება
ამიერ-კავკ. რკინის გზის
გამგეობა აცხადებს
ყოველ ცალკე ამიერ-კავკ. სახალხო კომისარიატის და დაწესებულებების საყურადღებოდ, რომ
გადაზიდვანი ბარგის ნისიათ
შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც სახელმწიფო
ბანკში შეტანილი იქნება მათ მიერ
მიმდინარე ანგარიშში.
ამისათვის ცალკე პირობები და შეთანხმება არ შესდგება.
308—3—2

ტირაჟი 700 საქართვ. უმაღლ. მეურ. საბჭ. პოლიგრაფ. განყოფ. სტამბა კრუზენშტეინის ქუჩ. № 2.